

გაკვეთილი 9

ფინანსურ რესურსებზე

ხელმისაწვდომობა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები

- ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს საწარმოს მთლიანი საქმიანობის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი დოკუმენტებია:
- ბალანსი;
- მოგებისა და ზარალის ანგარიშგება;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ;
- შენიშვნები (განმარტებები).

ბალანსი

ბალანსი ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი ერთ-ერთი ელემენტია, რომელიც დროის კონკრეტული მომენტისათვის განზოგადებულად, ფულადი საზომით ასახავს საწარმოს აქტივებს, ვალდებულებებსა და კაპიტალს. ზოგადად ბალანსი საწარმოს ფინანსურ პოზიციებს ასახავს, დროის განსაზღვრული მომენტისათვის გამონატულს ფულად ფორმაში. ბუღალტრული ბალანსის მომზადება ბუღალტრული აღრიცხვის ერთერთი ძირითადი პრინციპის-ფულადი შეფასების პრინციპის საფუძველზე ხდება. ამ პრინციპის გათვალისწინებით, ბალანსში აქტივები, ვალდებულება და კაპიტალი ეროვნულ ვალუტაში აისახება. ბალანსში ასახული აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი ანასიათებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას. ბალანსი პერიოდის ბოლოს მზადდება. ჩვეულებრივ საანგარიშსწორებო პერიოდად სრული 12 თვე (1 წელი) იგულისხმება. ბალანსის მუხლები ლიკვიდურობის მიხედვით ჯგუფდება. ლიკვიდურობა ფულად გადაქცევის სისწრაფეს ნიშნავს. ბალანსში მუხლები შეიძლება განთავსდეს ლიკვიდურობის ზრდის ან კლებადობის მიხედვით. ორივე მიდგომა დასაშვებია და არ იზღუდება. საქართველოს მთავარი ანგარიშგება და მათ შორის ბუღალტრული ბალანსი მოიცავს სათაურს, ძირითადი განაყოფებისა და ქვეგანაყოფების დასახელებებს. სათაურში მოცემული უნდა იყოს:

1. საწარმოს დასახელება
2. ფინანსური ანგარიშგების დასახელება
3. შედგენის თარიღი

შპს "საბა"

ბალანსი

2011 წლის 1 იანვრისათვის

ქტივები	1-Jan-11	გაღებულებები / კაპიტალი	1-Jan-11
ფული	2,000	კრედიტორული დაგალიანება	
წინასწარ გადახდილი(ბე)	-	მიღებული ავანსები	
დებიტორული დაგალიანება		გადასახდელი მოგების გადასახადი	
საქონელი		სახელფასო დაგალიანებები	
შესაფუთი მასალები		ბიზნეს სესხები	10000
სხვა		სესხები კერძო პირიდან	
მიმდინარე აქტივები	2,000	სხვა	
		მიმდინარე გაღებულებები	10000
შენობა ნაგებობანი		სალომბარდე სესხი	
მანქანა-დანადგარები	10,775	ბიზნეს სესხი	
სატრანსპორტო საშუალებანი		სესხები კერძო პირიდან	
საოფისე და სხვა		გრძელვადიანი გაღებულებები	-
არამატერიალური		საწესდებო კაპიტალი	
გაწეული ინვესტიციები და სხვა გრძელვადიანი სესხები		დამფუძნებლის შენატანი	
სხვა გრძელვადიანი		დაგროვილი მოგება / ზარალი	2775
სხვა		მიმდინარე პერიოდის მოგება / ზარალი	
გრძელვადიანი აქტივები	10,775	სულ კაპიტალი	2775
სულ აქტივები	12,775	სულ კაპიტალი და გაღებულებები	12,775

ბალანსის მუხლების განმარტებები

ბალანსი შედგება 2 მხარისგან- აქტივებისა და ვალდებულება/საკუთარი კაპიტალისაგან.

- **საწარმოს აქტივები** - იგულისხმობს არა მარტო ფულს, მარაგს, უძრავ ქონებას, მანქანა - დანადგარებს, ავეჯს, პატენტს და სხვა, არამედ მისაღებ ფულს, რომელიც საწარმოს ეკუთვნის სხვადასხვა პირებისაგან.

საწარმოს აქტივები იყოფა 2 ნაწილად: მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივები.

მიმდინარე აქტივი არის აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს რომელიმე შემდეგ პირობას - მოსალოდნელია მათი რეალიზაცია ბალანსის შედგენის თარიღიდან თორმეტი თვის განმავლობაში;

- **სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები** არის ისეთი აქტივები, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; მონაწილეობენ წარმოების პროცესში და ასევე გათვალისწინებულია გასაყიდად; წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით და განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.
- **ფულად სახსრებში** იგულისხმება ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშები
- **გრძელვადიანი აქტივი** არის მატერიალური აქტივები, რომლებიც არ პასუხობს მიმდინარე აქტივის განმარტებას. მათ შორის:
- **ძირითადი საშუალებები** არის მატერიალური აქტივები, რომლებიც იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება: წარმოებაში, ან საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად

ვალდებულებები - ფულადი სახსრებია, რომელსაც საწარმომ მობილიზება გაუკეთა ბანკის სესხებისა და მომწოდებლების კრედიტის ხარჯზე. ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა. ვალდებულებები იყოფა 2 ჯგუფად: მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებად.

- **მოკლევადიანი ვალდებულება** არის ვალდებულება რომელიც აკმაყოფილებს რომელიმე შემდეგ პირობას- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში; ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით; უნდა დაიფაროს ბალანსის შედგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.; ან საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ ცოტა 12 თვის განმავლობაში. მოკლევადიანი ვალდებულებებია; მოკლევადიანი სესხები, სავაჭრო და კრედიტორული დაფალიანებები, საგადასახადო ვალდებულებები და ა.შ.
- **გრძელვადიანი ვალდებულება** არის ვალდებულება, რომელიც არ პასუხობს მოკლევადიანი ვალდებულების განმარტებას. ანუ მისი დაფარვის ვადა აღემატება 12 თვის ბალანსის შედგენიდან.

ბალანსის მესამე მუხლი არის საკუთარი კაპიტალი.

საკუთარი კაპიტალი - წარმოადგენს საწარმოში დაბანდებულ საშუალებებს ვალდებულებების გამოკლებით. საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს ქონება შემცირებული ვალდებულებებით. კაპიტალი ბალანსის შედგენისას შეიძლება შემდეგი მუხლებით წარმოდგენილი: საწესდებო კაპიტალი, დამფუძნებლების შენატანი, გაუნაწილებელი (რეინვესტირებული) მოგება.

საწესდებო კაპიტალი არის პარტნიორების მიერ საწარმოს საქ

მიანობაში დაბანდებული საწყისი კაპიტალი.

გაუნაწილებელი მოგება არის ყველა ხარჯის გამოკლების შემდეგ, დარჩენილი პარტნიორების მოგება დივიდენდად განაწილებამდე.

- ყოველ კონკრეტულ მომენტში საწარმოს აქტივები ტოლია ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ჯამის.

მოგებისა და ზარალის უწყისი

- ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ ასახავს საწარმოს შემოსავლებსა და ხარჯებს კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. მისი შედგენა ხდება პერიოდულად, გარკვეული დროის მიხედვით და აჩვენებს საწარმოს საქმიანობის შედეგს. ბალანსის მსგავსად, ეს ანგარიშგებაც შეიძლება შედგეს თვის, კვარტალის, ან წლის მიხედვით. მათი შედგენა რეკომენდირებულია კვარტალის მიხედვით, თუმცა, ზოგი ბიზნესისათვის შესაძლოა უფრო სასარგებლო იყოს ყოველთვიურად მომზადება. წლიური მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგების მომზადება სავალდებულოა ყველა საწარმოსათვის. ქვემოთ მოცემულია მოგებისა და ზარალის უწყისი ფორმა.

თვე	Jun-11	Jul-11	Aug-11	Sep-11	Oct-11	Nov-11	Dec-11	Jan-12	Feb-12	ს უ ლ
	1	2	3	4	5	6	7	8	9	
შემოსავლები	10000	10000	10000	10000	10000	10000	10000	10000	10000	90000
სულ რეალიზაცია	10000	10000	10000	10000	10000	10000	10000	10000	10000	90000
გაყიდვების თვითღირებულება ¹	4000	4000	4000	4000	4000	4000	4000	4000	4000	36000
სულ თვითღირებულება	4000	4000	4000	4000	4000	4000	4000	4000	4000	36000
საერთო მოგება	6000	6000	6000	6000	6000	6000	6000	6000	6000	54000
სელფისი(ადმინისტრაცია)	600	600	600	600	600	600	600	600	600	5400
სელფისი(მომსახურე ბერსინალი)	600	600	600	600	600	600	600	600	600	5400
ქირა (იჯარა)	200	200	200	200	200	200	200	200	200	1800
რეკლამა	100	100	100	100	100	100	100	100	100	900
კომუნალური (შუქა)	200	200	200	200	200	200	200	200	200	1800
სატრანსპორტო							500	500		1000
საწვავი							250	250		500
სსგადასვლა							250	250		500
სულ საოპერაციო ხარჯები	1700	1700	1700	1700	1700	1700	2700	2700	1700	17300
საოპერაციო მოგება	4300	4300	4300	4300	4300	4300	3300	3300	4300	36700
ძირ. საშ. რეალიზაციიდან /										-
ამორტიზაცია	100	100	100	100	100	100	100	100	100	900
არასაოპერაციო მოგება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ ხარჯი	100	100	100	100	100	100	100	100	100	900
წმინდა საოპერაციო მოგება	4200	4200	4200	4200	4200	4200	3200	3200	4200	35800
საბროცენტო ხარჯები	100	100	100	100	100	100	100	100	100	900
საბროცენტო ხარჯები										
(მოგება დაბეგრამდე	4100	4100	4100	4100	4100	4100	3100	3100	4100	34700
მოგების გადასახადი	615	615	615	615	615	615	465	465	615	2,492
წმინდა მოგება	3485	3485	3485	3485	3485	3485	2635	2635	3485	32208
დეფიციენტი	1000	1000	1000	1000	1000	1000	1000	1000	1000	9000
ბიზნესში დარჩენილი მოგება	2485	2485	2485	2485	2485	2485	1635	1635	2485	23208

გთავაზობთ მოგება-ზარალი შემადგენელი პუნქტების განმარტებებს:

- ამონაგები გაყიდვიდან - ეს არის საქონლის გაყიდვიდან ან მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.
- (+) სხვა საოპერაციო შემოსავალი - ეს არის შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არაა საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობასთან (მაგ. ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება)
- (-) გაყიდვების თვითღირებულება - ეს არის გაყიდული საქონლის ან მომსახურების თვითღირებულება.
- (=) საერთო მოგება - მოგების მთლიანი მოცულობაა საოპერაციო ხარჯების გამოკლებამდე
- (-) საოპერაციო ხარჯები - საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული (მართვასთან დაკავშირებული) ხარჯებია.
- (=) საოპერაციო მოგება - მოგება ფინანსური ხარჯების გამოკლებამდე.
- (-) ფინანსური ხარჯები - ფინანსური მომსახურების ხარჯი (მაგ. სესხზე გადახდილი სარგებელი).
- (=) მოგება დაბეგვრამდე - მოგების თანხა, რომელსაც უნდა გამოაკლდეს მოგების გადასახადი
- (-) მოგების გადასახადი - საგადასახადო კოდექსით დადგენილი მოგების გადასახადი(15%)
- (=) წმინდა მოგება - საწარმოს სუფთა მოგება ყველა ხარჯებისა და გადასახადის გამოკლების შემდეგ.

რისთვის არის საჭირო მოგება-ზარალის გაკეთება? ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება ძალიან ბევრი იყოს. ყველა ბიზნესის მენეჯერს შეიძლება განსხვავებული პასუხი გააჩნდეს ამ კითხვაზე. მარტივად რომ შევხედოთ მოგება-ზარალის გაკეთება საჭიროა თუნდაც იმიტომ, რომ განვსაზღვროთ კონკრეტული საქმიანობისგან მიღებული შემოსავლები და შესაბამისად წმინდა მოგება და დროულად განვსაზღვროთ რამდენად რენტაბელურია ესა თუ ის კონკრეტული საქმიანობა ფირმისთვის და რამდენად მიზანშეწონილია მისი გაგრძელება. ანუ გავიგოთ რა სარგებლობა მოიტანა თქვენს დამფუძნებლების მიერ ინვესტირებულმა თანხებმა ამა თუ იმ ბიზნესში. დროულად და სწორად გაკეთებული მოგება-ზარალის უწყისი წარმატებული ბიზნესის წინაპირობაა.

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი

- მოგება წარმოადგენს საწარმოს ნეტო აქტივების ზრდას, მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში. აღნიშნული ზრდა შეიძლება გამოვლინდეს ფულად სახსრებში ან სხვა აქტივებში. ფულადი ნაკადების დანიშნულებაა, განვსაზღვროთ, თუ რაში მოხდა საქონლის რეალიზაციიდან ან მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვა. კერძოდ:
- მოხდა გრძელვადიანი აქტივების შეძენა
- ადგილი ჰქონდა მარაგის ნაშთის ზრდას

- შემცირდა საწარმოს ვალდებულებები, ანუ უფრო მეტი ოდენობით ფულადი სახსრები დაიხარჯა მოცემულ პერიოდში მიმწოდებლებისთვის უფრო სწრაფად გადასახდელად, ვიდრე გასულ პერიოდში.
- რა მოცულობის დიფიდენდების გაცემა მოხდა დამფუძნებლებზე.

მოგებისა და ზარალის უწყისისაგან განსხვავებით ფულადი ნაკადების უწყისში ხდება მხოლოდ ფულადი შემოსავლებისა და რეალურად გაწეული სწავლასგა ფულადი დანახარჯების აღრიცხვა. ასევე მიღებული, დაფარული სესხები და სწავლასგა ვალდებულებები. მოგება-ზარალში დარიცხულსა და ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისში რეალურად გაწეულ ფულად დანახარჯებს შორის არსებული სწავლობა ბალანსში აისახება. ქვემოთ მოცემულია ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი

პერიოდი	Jun-11	Jul-11	Aug-11	Sep-11	Oct-11	Nov-11	Dec-11	Jan-12	Feb-12	
საწყისი ფულადი სახსრები	2,000	9200	11400	9600	11800	14000	16200	17400	17600	Total
შემოსავლები	10000	10000	10000	10,000	10000	10000	10000	10000	10000	9000
შემოსავლები დებიტ. დაკალიანებდან										
სულ ფულადი შემოსავლები	10000	10000	10000	10000	10000	10000	10000	10000	10000	90000
საქონლის შექმნა		5000	7000	7000	5000	5000	5000	6000	5000	45000
გახვეალი საქონლის შესყიდვაზე		5000	7000	7000	5000	5000	5000	6000	5000	45000
სულ საოპერაციო ხარჯები	5000	7000	7000	5000	5000	5000	5000	6000	5000	45000
ხელფასი(ადმინისტრაცია)	480	480	480	480	480	480	480	480	480	4320
ხელფასი(ინკუბატორი)	480	480	480	480	480	480	480	480	480	4320
ქირა (ოჯარა)	200	200	200	200	200	200	200	200	200	1,800
რეკლამა	100	100	100	100	100	100	100	100	100	900
კომუნალური	200	200	200	200	200	200	200	200	200	1,800
სატრანსპორტო							500	500		1000
საწვავი							250	250		500
სხვადასხვა							250	250		500
საშემოსავლო გადასახადი მოგების გადასახადი	240	240	240	240	240	240	240	240	240	2160
										-
ზედნადები ხარჯები	1,700	1,700	1,700	1700	1700	1700	2700	2700	1700	17300
ოპერაციებიდან	8300	3300	1300	1300	3300	3300	2300	1300	3300	1,507
ძირითადი საშუალებების კაპიტალური დანახარჯები	შექმნა	-	-	-	-	-	-	-	-	-
აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	შემოსავალი									-
ინვესტიციებიდან	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
TBC სესხის მიღება										-
სხვა სესხების მიღება										-
TBC სესხის ძირის დაფარვა										-
TBC სესხის %-სხვა ბანკის %-ის დაფარვა	100	100	100	100	100	100	100	100	100	900
სხვა ბანკის ძირის დაფარვა									10000	10000
საკუთარი კაპიტალის მომატება										-
ფინ. ოპერაციებიდან	(100)	(100)	(100)	(100)	(100)	(100)	(100)	(100)	(10100)	(10900)
სხვა შემოსავლები										-
სხვა გახველები(დიფიდენდები)	1000	1000	1000	1000	1000	1000	1000	1000	1000	9000
არასაოპერაციო ნაკადები	(1000)	(1000)	(1000)	(1000)	(1000)	(1000)	(1000)	(1000)	(1000)	(9000)
წმინდა ფულადი ნაკადები	7200	2200	200	200	2200	2200	1200	200	(7800)	6800
საბოლოო ფულადი სახსრები	9200	11400	11600	11800	14000	16200	17400	17600	9800	

- ბიზნესის გარკვეული პერიოდის მოგება განსხვავდება ამავე პერიოდის ბოლოსათვის არსებული ფულის ნაშთისაგან. ანუ მიღებული მოგება ფულადი სახსრების ნაშთი ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. პერიოდის მოგების განსხვავება ფულის ნაშთისაგან, განპირობებულია ზემოთ აღწერილი გარემოებებით.
- პერიოდის ბოლოს, მოგებასა და ფულად სახსრებს შორის არსებული განსხვავების გამო, საჭიროა ფულადი სახსრების ანგარიშგების მომზადება, ე.ი. საჭიროა ფინანსური ანგარიშგების ახალი კომპონენტი, რომელიც ფულადი ნაკადების ანგარიშგებას წარმოადგენს და მოგვეცემს საშუალებას:
- მივიღოთ დამატებითი ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შესახებ;
- შევაფასოთ საწარმოს არსებული ლიკვიდობის მდგომარეობა;
- შევაფასოთ სამომავლო ფულადი ნაკადები.
- ანგარიშგებაში ფულადი ნაკადები იყოფა სამ კატეგორიად. კერძოდ, საწარმო ფულად ნაკადებს აჯგუფებს საოპერაციო, საინვესტიციო საფინანსო საქმიანობის მიხედვით, მისი საქმიანობისათვის ყველაზე მეტად მისაღები ფორმით.

ფულადი ნაკადების პირველი კატეგორიაა საოპერაციო საქმიანობა, არის საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი საქმიანობა. საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები, უმეტესად, საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან წარმოიშობება. ამგვარად საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები დაკავშირებულია ისეთ სამეურნეო ოპერაციებთან და მოვლენებთან, რომლებიც მონაწილეობენ წმინდა მოგების ან ზარალის განსაზღვრაში.

- ფულადი ნაკადების მეორე კატეგორია-**საინვესტიციო საქმიანობა** არის გრძელვადიანი აქტივებისა და იმ სხვა ინვესტიციათა შექმნა და რეალიზაცია. საინვესტიციო საქმიანობა გვიჩვენებს, თუ რა დანახარჯები იქნა გაწეული რესურსებისათვის, რომლებმაც მომავალში უნდა შექმნას შემოსავალი და ფულადი სახსრები.
- ფულადი ნაკადების მესამე კატეგორია- **საფინანსო საქმიანობა**, არის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნასესხები საშუალებები. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში საფინანსო საქმიანობის ცალკე გამოყოფა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ იგი სასარგებლოა საწარმოსათვის კაპიტალის მომწოდებლის მხრიდან, სამომავლო ფულადი ნაკადების მიმართ შესაძლო პრეტენზიების პროგნოზირებისათვის.

საბოლოო ფულადი ნაკადების უწყისი შედეგია აუცილებელია იქედან გამომდინარე, რომ განსაზღვრით არსებული ფულადი შემოსავლების საფუძველზე რამდენადაა შესაძლებელი დაგვეგეგმოს რაიმე ტიპის საქმიანობა, რომელიც გარკვეულ ფულად დანახარჯებთან არის დაკავშირებული, დაგვეგეგმოს რამდენადაა შესაძლებელი მოკლევადიანი ვალდებულებების გასტუმრება. ან კიდევ სესხის აღებისას განსაზღვროთ სესხის ვადა ისე, რომ პესიმისტური

გათვლით დაგეგმილი შემოსავლებით შესაძლებელი იყოს სესხის ყოველთვიური გადასახადის გადახდა.

საპროგნოზო ფულადი ნაკადების შედგენა ხდება ისტორიული პერიოდის თვეების შემოსავლების მიხედვით. ისტორიული ფულადი ნაკადების სრული 1 წლის მონაცემების არარსებობისას, როცა ფულადი ნაკადები შედგენილია რამდენიმე თვის მონაცემებზე დაყრნობით, შესაძლებელია საშუალო მონაცემების აღება, როგორც შემოსავლებისა ასევე ხარჯების. საპროგნოზო ფულადი ნაკადების შედგენისას უშეტესად ხდება პესიმისტური გათვლები. ანუ ხდება მინიმალური შემოსავლებისა და მაქსიმალური დანახარჯების გათვალისწინება.
